ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. აპრილის 27. № 4 ცფილისი

1-4. ოქ. 1-4. ... 1961 წ. 28 აპ. 7 მუ. 117.

შინაარსი

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

50. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

50. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

2: ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

ა) 1932 წ. თებერვლის 25-ისა „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის განმტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-4 №-ი, მუხ. 43);

ბ) 1932 წ. აპრილის 4-ისა „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარი არბიტრისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომებში სათათბირო ხმის უფლების მინიჭების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 116);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 1933 წ. ივლისის 8-ისა „სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში გადასინჯვის წესის შესახებ“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1933 წ. მე-17 №-ი, მუხ. 245).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ყოფიკაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1934 წ. იანვრის 14.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

1. სახელმწიფო არბიტრაჟის ამოცანას შეადგენს გადაწყვიტოს ქონებრივი დავანი განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის იმ მიმართულებით, რაც უზრუნველჰყოფს რევოლუციონური კანონიერებისა, სახელ'მეკრულებო და საგეგმო დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, აგრეთვე გააძლიეროს სამეურნეო ორგანოების მატერიალური პასუხისმგებლობა და სამეურნეო დარგში მომუშავეთა პერსონალური პასუხისმგებლობა გარიგებათა და ხელშეკრულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის.

2. დავათა გადაწყვეტის დროს სახელმწიფო არბიტრაჟი იხელმძღვანელებს კანონებს და ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის ეკონომიური პოლიტიკის ზოგად პრინციპებს.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები არიან:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟები.

4. სახელმწიფო არბიტრაჟი (როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ისე ადგილობრივი) მოეწყობა მთავარი სახელმწიფო არბიტრისა, მისი მოადგილეებისა და სახელმწიფო არბიტრების შედგენილობით, რომელთაც პერსონალურად დანიშნავენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, კუთვნილებისამებრ.

საერთო ხელმძღვანელობის გაწევა სახელმწიფო არბიტრაჟისათვის ეკისრებათ მთავარ არბიტრს და მის მოადგილეებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარ არბიტრს უფლება აქვს უშუალოდ შეიტანოს საკითხები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი არბიტრები, ხოლო მათი არყოფნის დროს—მათი მოადგილეები, მონაწილეობას იღებენ სათათბირო ხმით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომებში და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებში,—კუთვნილებისამებრ.

5. სახელმწიფო არბიტრაჟის გამგებლობის საგანს შეადგენს ქონებრივი დავანი განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, კერძოდ—დავანი დადებულ ხელშეკრულებათა თაობაზე და დავანი პროდუქციის თვისების თაობაზე.

6. სახელმწიფო არბიტრაჟის წესით არ უნდა იქნეს განხილული:

ა) ერთი და იმავე უწყების, სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ, ორგანოებს შორის აღძრული დავა;

ბ) ერთი და იმავე უწყებისა, სამეურნეო შენაერთის ან კოოპერატიული სისტემის დაწესებულებათა და საწარმოთა შორის აღძრული დავა, სათანადო ზემდგომი ორგანოს ნებართვის გარეშე;

1598

გ) სახელმწიფო ბანკის ოპერაციების გამო აღძრული დავა, უკეთუ სახელმწიფო ბანკი ერთ-ერთი მხარეა ამ დავაში;

დ) რკინის გზით, წყლით და ჰაერით გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა, იმ დავათა გარდა, რაც აღიძვრის მასურ საგეგმო გადაზიდვათა გენერალური ხელშეკრულებების განსახორციელებლად წარმოებული გადაზიდვის გამო;

ე) გადასახადებისა ან უდავოდ გადასახდევინებელი სხვა გადასახდელის გამო აღძრული დავა;

ვ) კომუნალური მომსახურეობის გაწევის თაობაზე დადებული ხელშეკრულების გამო აღძრული დავა;

ზ) ერთი ათას მანეთზე ნაკლები თანხის გამო აღძრული დავა.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს:

ა) 1.000 მანეთზე არა ნაკლები თანხის გამო აღძრული დავა, რომელშიაც ერთი ან ორივე მხარე რესპუბლიკანური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე დაწესებულებაა, საწარმო ან ორგანიზაცია; აგრეთვე ასეთივე თანხის გამო აღძრული დავა სხვადასხვა ავტონომიური ერთეულის (რესპუბლიკა, ოლქი) დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას შორის;

ბ) 1.000 მანეთიდან ვიდრე 10.000 მანეთამდე თანხის გამო აღძრული დავა, რომელშიაც ერთი ან ორივე მხარე საერთო-საკავშირო თუ ფედერატიული მნიშვნელობის დაწესებულებაა, საწარმო ან ორგანიზაცია;

გ) 1.000 მანეთიდან ვიდრე 10.000 მანეთამდე თანხის გამო აღძრული დავა სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკისა ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, უკეთუ

მოპასუხე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფება, პროდუქციის ფასების გამო აღძრულ დავათა გამოკლებით, რომელთა ქვემდებარეობაც განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სპეციალური ინსტრუქციით;

დ) „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ მხარეთა დავა 10.000 მანეთზე არა ნაკლები თანხის შესახებ, უკეთუ ამ დავის განხილვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს მიანდობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი ან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი.

შენიშვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს, ამა მუხლის „ა“—„ბ“ პუნქტების თანახმად, მისი ქვემდებარე ყოველი საქმე გადასცეს განსახილველად ადგილობრივ სახელმწიფო არბიტრაჟს.

8. ადგილობრივმა სახელმწიფო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს:

ა) უწყებული ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ავტონომიური ოლქის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის 1.000 მანეთზე არა ნაკლები თანხის გამო აღძრული ყველა დავა;

ბ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ მისთვის განსახილველად გადაცემული დავა.

9. სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდებარე სარჩელის განცხადების უფლება ისპობა შემდეგი ვადების განვლისას:

ა) საურავისა, პირგასუტეხელობისა ჯარიმისა და ჯარიმების გადახდევინების მოთხოვნათა შესახებ—სამი თვის გასვლის შემდეგ;

ბ) საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნათა შესახებ—წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ;

გ) კაპიტალური მშენებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესახებ—ერთი წლის გასვლის შემდეგ;

დ) განაპირა ჩრდილოეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ მოთხოვნათა შესახებ—წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ;

ე) სხვა მოთხოვნათა შესახებ—ექვსი თვის გასვლის შემდეგ, უკეთუ სპეციალური კანონით დადგენილი არ არის ხანდაზმულობის უფრო მოკლე ვადა.

სასარჩელო ხანდაზმულობის დენა იწყება იმ დროიდან, როდესაც წარმოიქმნა სარჩელის განცხადების უფლება.

ისეთ ვალდებულებაზე, რომელიც აღსრულებულ უნდა იქნეს კრედიტორის მოთხოვნისამებრ, სასარჩელო ხანდაზმულობის დენა იწყება ვალდებულების წარმოქმნის დროიდან.

სასარჩელო ხანდაზმულობა წყდება მხოლოდ სარჩელის განცხადებით.

სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს განუგრძოს მოსარჩელეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, უკეთუ მოსარჩელეს შესაძლებლობა არ ჰქონდა თავის დროზე განეცხადებია სარჩელი.

10. სახელმწიფო არბიტრაჟი იხილავს საქმეებს როგორც დაინტერესებულ მხარეთა განცხადებით, ისე საკუთარი ინიციატივით აღძვრის წესისამებრ, ან იმ ორგანოს მინდობილობით, რომელთანაც იგი არსებობს, ან და ზემდგომი სახელმწიფო საარბიტრაჟო ორგანოს დავალებით.

11. საქმეს გადასწყვეტენ სახელმწიფო არბიტრი და მოდავე მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენელნი (დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელნი, მათი მოადგილენი, გამგეობის წევრნი), თითო თვითეულ მხარედან.

უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს სახელმწიფო არბიტრი.

რთულ საქმეზე მთავარ სახელმწიფო არბიტრს შეუძლიან არბიტრაჟის შედგენილობაში მიიწვიოს დამატებით ორი სახელმწიფო არბიტრი.

უკეთუ არ გამოცხადდა ერთი ან ორივე მხრის წარმომადგენელი, საქმე შეიძლება გადაწყდეს უიმათოდ.

ისეთ საქმეზე, რომელშიაც მოპასუხედ საერთო-საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტზე, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებზე ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებაა, სახელმწიფო არბიტრაჟის სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოს წარმომადგენელი, სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების მე-11[1] მუხლის მე-2 შენიშვნის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 74 №-ი, მუხ. 451) გამოცემული წესების შესაბამისად.

12. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს უფლება აქვთ მოსთხოვონ ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას საჭირო დოკუმენტებისა, ცნობებისა და მასალის წარდგენა, დაიბარონ თანამდებობის პირნი განმარტების მისაცემად, დანიშნონ ექსპერტიზა და სხვა მისთ.

13. სახელშეკრულებო და საგეგმო დისციპლინის ყველა გამოაშკარავებულ სერიოზულ დარღვევას და სხვა ნაკლოვანებას დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაში სახელმწიფო არბიტრაჟი აცნობებს მათზედ მაღლა მდგომ ორგანოებს ან მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს, ხოლო სათანადო შემთხვევაში—პროკურატურას.

უკეთუ საქმის განხილვის დროს გამოაშკარავდა საბუხჰალტერო აღრიცხვის აწეწილობა ან ანგარიშგების არაწესიერი ორგანიზაცია, მთავარ არბიტს შეუძლიან დაადვას ამ საქმისათვის პასუხისმგებელ სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელს და მთავარ ბუხჰალტერს ფულადი გადასახდელი ერთი თვის ჯამაგირის ფარგლებში.

ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებათა სისტემატური დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს შეუძლიანთ გადაწყვიტონ ხელშეკრულებასთან შედარებით გადიდებული ჯარიმა.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მოვალენი არიან პასუხისგებაში აძლიონ ხელშეკრულებათა დარღვევაში დამნაშავე პირნი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 18 ის დადგენილების თანახმად (სსრკ. კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 109).

14. სახელმწიფო არბიტრაჟში წარმოებულ საქმეებზე გადაიხდევინება ერთიანი სახელმწიფო ბაჟი. ბაჟის შეტანის დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს დაინტერესებული მხარის მიერ სახელმწიფო არბიტრაჟში საქმის აღძვრასთან ერთად.

15. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

16. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ასრულებენ თვით მხარენი სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაზე.

თვით მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაზე შეუსრულებელი გადაწყვეტილება აღისრულება იძულებითი წესით, სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გაცემული ბრძანების თანახმად.

ის თანამდებობის პირი, რომელიც გადაწყვეტილებას არ შეასრულებს, მიიცემა პასუხისგებაში სადისციპლინო ან სისხლის სამართლის წესით.

17. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფულადი თანხების გადახდევინება სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების მიმართ მოხდება სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანების საფუძველზე და მიიქცევა ამ დაწესებულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ასიგნებზე.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს ბრძანება იძულებითი აღსრულების თაობაზე გათანასწორებულია ჩეკ-ასიგნობასთან და სხვა საგადახდევინებო დოკუმენტებთან, რაც დადგენილია ხარჯთაღრიცხვით ასიგნული თანხების ხარჯვისათვის, და იგი ეგზავნება სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებას სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატის ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოს მეშვეობით (კუთვნილებისამებრ), რათა მათ აღნიშნონ ხარჯთაღრიცხვის საბიუჯეტო დანაყოფი, საიდანაც აღსრულებულ უნდა იქნეს ბრძანება.

გადახდევინების ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალურ ან სხვა, ბიუჯეტ-გარეშე სახსარზე. ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების ამ სახსარზე გადახდევინების მიქცევა მოხდება იმ წესით, რაც დადგენილია სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანოებისათვის (მუხ. 18).

18. გადაწყვეტილების აღსრულების წესისამებრ, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებისა, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ანგარიშებიდან თანხებს გადარიცხავენ საკრედიტო დაწესებულებანი, დაინტერესებული მხარის მიერ სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანების წარდგენით.

19. იმ შემთხვევაში, რაც წინა მუხლებით (მუხ. 17 და 18) გათვალისწინებული არ არის, გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულებულ იქნეს იძულებითი წესით საერთო სასამართლო დაწესებულების სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით.

20. სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრულ დავათა თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად წარდგენისათვის დაწესებულია ერთიანი ექვსი თვის ვადა.

შენიშვნა. სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის განაპირა ჩრდილოეთის ტერიტორიაზე აღძრულ დავათა შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად წარდგენისათვის დაწესებულია წელიწადნახევრიანი ვადა.

21. ზედამხედველობის გაწევა სახელმწიფო არბიტრაჟის მოქმედებისათვის ეკისრებათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს.

22. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით გააუქმონ ან შეცვალონ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება და გადასცენ საქმე ხელახალი განხილვისათვის.

უფლება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საკითხის აღძვრისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აქვთ მხოლოდ იმ პირთ, დაწესებულებათ და ორგანიზაციათ, რომელნიც უფლებამოსილ არიან უშუალოდ შეიტანონ სახალხო კომისართა საბჭოში წინადადებანი.

სახელმწიფო არბიტრაჟის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში საკითხების შეტანის წესს განსაზღვრავენ აღნიშნული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

ადგილობრივი სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ამ გადაწყვეტილებას განიხილავს სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

23. მთავარ არბიტრს უფლება აქვს, ერთი თვის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა, შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება და გადასცეს საქმე სახელმწიფო არბიტრაჟს ხელახალი განხილვისათვის.

24. მთავარ არბიტრს უფლება აქვს გადასინჯოს გადაწყვეტილებანი დროებითი ორგანოებისა, რომელნიც მთავრობის სპეციალური დადგენილებების თა-

ნახმად აღჭურვილ არიან სახელმწიფო არბიტრაჟის ფუნქციებით, როგორც და-ინტერესებულ მხარეთა საჩივრის გამო, ისე სარევიზიო წესით; ამასთანავე, უკეთუ აღნიშნული ორგანიზაციების გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა, მთავარი არბიტრი გადასცემს საქმეს ხელახალი განხილვისათვის, კუთვნილებისამებრ, სახელმწიფო ან საუწყებო არბიტრაჟის სათანადო ორგანოს.

25. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ, ამა დებულების მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტის წესისამებრ, ადგილობრივი სახელმწიფო არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემულ დავათა მიმართ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს შეამოწმოს, გააუქმოს და შეცვალოს ადგილობრივი არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი.

ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საკითხის აღძვრა შეუძლიან დაინტერესებულ ორგანიზაციას, გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფო არბიტრაჟს ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს არა უგვიანეს ერთი თვისა გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

26. სახელმწიფო არბიტრაჟში საქმეთა განხილვის წესებს გამოსცემს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი.

27. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს გაუწიოს ინსტრუქტირება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს, აგრეთვე საუწყებო არბიტრაჟის ორგანოებს, როგორც საქართველოს სსრ უწყებათა ორგანოებთან, ისე კოოპერატიული სისტემების ორგანოებთან მყოფთ, და გამოიკვლიოს მათი მოქმედება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, საჭიროებისდაკვალად, მოიწვევს სახელმწიფო არბიტრაჟისა და საუწყებო არბიტრაჟის ზემოაღნიშნული ორგანოების თათბირებს.

ანალოგიური უფლება საუწყებო არბიტრაჟის ადგილობრივი ორგანოების მიმართ ეძლევა ადგილობრივ სახელმწიფო არბიტრაჟს.

28. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს აქვთ ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 7. პ/მ **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1/2 ბეჭდვ ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 14/II. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV. ტირაჟი 1.800.

მთავლიტი ს.—№ 12. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 384.